



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 48



2013 წლის 15 მარტი
ქალაქი ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბერის №235 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #235 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამაში.
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #13).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე



ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამა ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონს, შემუშავებულია მისი აღსრულების მიზნით და მიზნად ისახავს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სპორტული მოედნების (სპორტული კომპლექსების) მოვლას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

მუხლი 2. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის განხორციელებისათვის „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯების მოცულობაა – 40000 ლარი

	დასახელება	თვის ხარჯი	სულ წელიწადში
1	ადმინისტრაციული ხარჯები	1675	20100
2	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა	100	1200
3	ტერიტორიების და მათზე განლაგებული სადღეღამისო დაცვის უზრუნველყოფა	1220	14640
4	ტერიტორიების და მათზე განლაგებული ნაგებობების და მოწყობილობების შენახვისათვის აუცილებელი მიმდინარე ხარჯები	338,33	4060
		3333.33	40 000

მუხლი 3. პროგრამის გავრცელების ობიექტები

1. დღეის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედია შემდეგი სპორტული მოედნები ქ. ხაშურში – ტაბიძის ქუჩაზე დასვენებისა და კულტურის ბაღში მდებარე ჩოგბურთის კორტი და მინი ფეხბურთის მოედანი და სასეირნო ბაღი, დაბა სურამში რკინიგზის სადგურთან მდებარე სპორტული კომპლექსი და სკვერი, ქ. ხაშურში ბორჯომის ქუჩაზე მდებარე სკვერი და მინი სტადიონი, დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამა ხარჯების გათვალისწინებით განხორციელდება მოვლა-შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები, რომლის შესყიდვა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რაც თავისმხრივ გულისხმობს:

- ა) სპორტული მოედნების (სპორტული კომპლექსების) ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებას;

მუხლი 5. სხვა დებულებები

იმის გათვალისწინებით რომ ქ. ხაშურში ტაბიძის ქუჩა #21-ში და დაბა სურამში რკინიგზის სადგურთან მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირება განუყოფელია მიმდებარე პარკების დანიშნულებასთან და განიხილება მიმდებარე კულტურისა და დასვენების პარკებთან მთლიანობაში, პროგრამის გავრცელების გაგრძელებამ უნდა მოიცვას ზემოთ აღნიშნული პარკების მთელი ტერიტორიები.